# სახალხო გაზეთი

№ 1082 პარასკევი, 3 იანვარი 1914 წ. № 1082

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

**ტელეფონი №12-29**

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.**

**ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებისა—7 კ.**

## გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ელიწადი მეხუთე

# „სახალხო გაზეთი"

წელიწადი მეხუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა და გაზეთს ექნება

**კვირაობით სურათებიანი დამატება კვირაობით**

რემიად 1914 წლის ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის მომწერნი არიან, 1914 წლის განმავლობაში მიიღებენ

## სამს წიგნს

რველი წიგნი „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1. **„უბედური მეფე"** ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად **სანდრო შანშიაშვილისა.** **„მიმქრალი შარავანდედი"** ისტორიული რომანი **ვ. ბარნოვისა** და სხ.

მეორე წიგნი „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: **„დონ-კარლოსი"**, ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი სამეცნიერო კრებული ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

| გაზეთის ფასი | წლით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში და მის გარედ. | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — „ | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 75 კ. | 6 მ. — „ | 5 მ. 25 კ. | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 75 კ. | 3 მ. — „ | 2 მ. 25 კ. | 1 მ. 50 კ. | — 75 კ. |
| საზღვარ-გარედ. | 15 მ. — „ | 13 მ. 75 კ. | 12 მ. 50 კ. | 11 მ. 25 კ. | 10 მ. — „ | 8 მ. 75 კ. | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 25 კ. | 5 მ. — „ | 3 მ. 75 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

**ცალკე ნომერი ყველგან შაურად; დამატებიანი შვიდი კაპეიკად.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა. იმ ხელის მომწერმა, რომელიც **სამივე პრემიის** მიღე- ს **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **სამი აბაზი.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**ხელის მოწერის პირობები:** 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კაპ.) შეუძლიანთ გადაიხა- ნ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისათანავე 3 მან., 1 აპრილამდე 2 მ., თიბათვემდე 2 მან., 1 ენკენისთვემდე 1 მან. 50 კაპ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიც- იდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-მდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგ. მთავარ-გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახ. ქუჩაზე.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ Груз. газ. „Сахалхо Газети" поч. ящ. 190.

---

# ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქვ. ნაგვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

ოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| ნაგანი ნეულე- ბ: | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ირურგ. ნეულე- ბანი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ლთა და ამშობ. ნეულე- ბანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ავშვთა ნეულბ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი მ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ერვიულ. ნეულებ. ა ელექ. | **ჯაგახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ზონდოვი ბ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ელ. ყუ- ის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| ვალის ნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| აბ. და ნერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. აწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1436

---

## გორის პირველი კერძო

# სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მელხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ზინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის **Wasserman-ი. წამლობა „606", „914".** 1604

---

# საჯარო ლექცია

შაბათს, 4 იანვარს 1914 წ. პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორი ვ. ნ. სპერანსკი არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე:

## „დედაკაცის ბედის წერა"

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: 10 იანვარს შესდგება მეორე საჯარო ლექცია **პროფესორ სპერანსკისა** შემდეგ თემაზე: **„ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები".** ბილეთები ღირს 50 კ. 2 მ. 50 კ. და ამ თავითვე იყიდება არტისტიულ საზოგადოების დარბაზში შესასვლელთან. 913

---

**1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

**წელიწ. მეათე.** „ნაკადულზე" **წელიწ. მეათე.**

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.**

**36 სურათი,** წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები",**

(მრავალი სურათებით), **გიორგი ანთელიძისა.**

**ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში: „ნაკადულის"** რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბზელდიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შალბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

---

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**საყმაწვილო წიგნები:**

| | |
|---|---|
| ყვავილთა შორის, წ.-კ. გამოც. ფასი | 45 კ. |
| მამის ერთგული, „ | 15 „ |
| სვიის გვირგვინი, „ | 15 „ |
| მტრედი, „ | 10 „ |
| მოთხრობანი, დ. კლდიაშვილისა, | 30 „ |
| საყმაწ. მოთხრობ., ე. გაბაშვილისა, | 30 „ |
| ბუს თავგადასავალი, | 20 „ |
| ბუნების მოვლენანი, | 15 „ |
| დონ-კიხოტი, | 25 „ |
| ხუმარა სპილოები, | 20 „ |
| კეთილი ძაღლი, | 20 „ |
| სოფელი კურთხეულა, | 3 „ |
| ცხოვრების გზა, | 2 „ |
| მოთხრობათა კრებული, ნათ. ყიფ. | 3 „ |
| ოქროს ფული, | 2 „ |
| ცხოველების გამჭრიახობა, | 25 „ |
| ლომ-კაცი, | 25 „ |

| | |
|---|---|
| ცხოველები და მცენარენი ცხელ ქვეყნებში, | 35 კ |
| **ახლად მიღებული სამეცნიერ. წიგნები** | |
| Характеристики и воспоминанія, Г. М. Тумановъ, | 50 к. |
| Новая лингвистическая теорія, Меликсетъ-Бековъ, | 10 „ |
| Къ вопросу о настоящемъ имени, просвѣт. Грузіи, მისივე, | 25 „ |
| ქება თამარ მეფისა, ს. კაკაბაძე, | 30 „ |
| ქება დავით მეფისა, „ | 30 „ |
| ხონის საყდრის დავთარი „ | 20 „ |
| საცაიშლოს დავთარი, „ | 40 „ |
| დიდი ალექსანდრე მეფის თარიღი, | 10 „ |
| მცნება სარჯულო, | 15 „ |
| მეფის კურთხევის წესი, | 10 „ |
| საეკლესიო რეფორმებისთვის, | 10 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

---

**საზღვარ-გარეთის კიმონო**

# რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

კიმონო

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

კიმონო

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

**კიმონო**

---

**გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.**

# გენაცვალე

**ი. სარაჯიშვილის და ი. გრიშაშვილის სურათებით. ფასი 25 კაპ.**

---

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა** ბ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გალანდვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **ღარიბებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

---

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

# სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

# მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, კოროლენკოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

---

# საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მამულის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

---

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკაძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. მ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით** 1462

ეროვნული
ბიბლიოთეკ

შაბათს, 4 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაცვალების ექვსი თვის თავზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**ქეთევან ლუარსაბის ასულის ყურულის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გენერალ-ლეიტენანტის ქვრივი **ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა შვილებითურთ, ელენე გიორგის ასული და გიორგი დურმიშხანის ძე ყურული შვილებითურთ.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი შუადღის 12 საათზე. 917

**ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების**

**სამუსიკო სკოლა**

(ყარლანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6).

მოწაფეთა მიღება; ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერა (solo) თეორიისა, ჰარმონიისა, ენციკლოპედიისა, სოლფეჯიოსი (ნოტების კითხვა) და ხოროს კლასსებში **დაიწყო 2 იანვრიდან,** დილის 11 ს.-დან 2 ს.-დე და საღამოს 5—7 საათამდე, (კვირა-უქმის გარდა) სკოლის კანტორაში.

სწავლის ფასი 65 და 75 მან. წელიწადში გადახდებით, ნახევარი წლობით წინდაწინ, სპეციალური თეორია მუსიკისა 15 მან. წელიწადში.

**სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.** 1004

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი**

პარასკევს, 3 იანვარს, 1914 წ. სახ. სახ. არს. ქარ. სახ. წარ. მმარ. წრის მიერ ქართული თეატრის დაარსებიდან 64 წლის შესრულების აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება **ა. ცაგარლის** პიესა:

**1 მათიკო** — 1 მოქმედება. | **2 დავა** — 1 მოქმ. გ. ერისთავისა.

**3. უჩინ მაჩინის ქუდი**

1 მოქმ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გოგოლაშვილი, ელ. ციმაკურიძე, ბ.ბანაშვილი, ნ. გოცირიძე, იმერელი, კავსაძე, ი. ზურაბიშვილი, ს. რომანიშვილი, ლომთიძე, გ. ფრონისპირელი, ქიაურელი, ჯაბაური. ადგილების ფასი 5 კ.-დან 50 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათ. რეჟისორი ალ. **წუწუნავა.** რეჟ. თანაშემწე: ალ. გუგუშვილი. 1002

**ქ. გორში**

**მშობელთა წრის დახმარებით.** 1914 წელს 5 იანვრიდან არსდება **ანასტასიას ქალთა გიმნაზიის მოწაფეთათვის**

**საზოგადო ბინა**

თვეში თითოზე 15 მანეთად.

**საზოგადო ბინა სამოსწავლო მთავრობის მეთვალყურეობაში იქნება. ცნობების მისაღებად გიმნაზიის კანცელარიას უნდა მიმართონ.** 1001

**6 იანვარს 1914 წ.**

ქართული თეატრისა და ახალი კლუბის

დარბაზებში გაიმართება

**ჩვეულებრივი**

**თავად-აზნაურთა**

**ბალი**

დიასახლისები: სტატს დამა კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა, ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3. სახ. გაბაშვილისა.

**ექიმ ლ. ლ. მოსირიძის**

**საავადმყოფო**

**ქალ. ბაქოში**

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

**ექიმი**

**ი. ზ. გძელიშვილი**

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. 916

**ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-კახალაიშვილი**

გადავიდა ქინიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვიქტორიის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს.-მდე. 872

**ექიმი ხ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5 1/2 ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ქ. გორში**

**(დოკტორანტი).**

**ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

**ექიმი პ. ლ. ქიქალიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 1/2 საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი მ. მუსხელიშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11 1/2 საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე**

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

# ყალბი პოზიცია

1.

ჩვენში დიდი ხანია ერთმანეთს ებრძვის ორი მიმართულება. მათ შორის დიდი და ღრმა იდეიური განსხვავებაა. დემოკრატიულმა და სოციალისტურმა აზროვნებამ ჩვენში მარქსიზმის სახით შემოსდგა ფეხი. მარქსიზმი, როგორც სოციალ-პოლიტიკური დოქტრინა, ჩვენში არ დაბადებულა, იგი სხვაგან დაიბადა, განვითარდა და ჩამოყალიბდა. ჩვენში მხოლოდ გადმოინერგა ის, რაც სხვა ნიადაგზე აღმოცენდა და მომწიფდა. ამით მე ის არ მინდა ვსთქვა, თითქოს მარქსიზმისთვის ჩვენს ქვეყანაში ნიადაგი არ არსებობდეს. საბოლოოვო დასკვნანი მარქსიზმისა სადა და მარტივია. აზროვნება უკიდურეს სქემატიზმამდე არის მისული და ადვილი შესათვისებელიცაა იმისთვის, ვინც მზა-მზარეულ პასუხსა თხოულობს ცხოვრების ყოველნაირ მოვლენაზე. სოციალური ცხოვრება, პროცესი განახლებისა, რა თქმა უნდა, არც ისეთი სადა და მარტივია, როგორც ეს მარქსისტებს წარმოუდგენიათ, მაგრამ უკიდურესად გამარტივებული აზროვნება ამით არა სწუხდება და ხელის ერთის მოქნევით სპობს საკითხებს. ცხოვრება თავის გზით მიდის, მრავალნაირ უტყუარ მაგალითებს გვაძლევს იმისას, რომ მარქსიზმი ცალმხრივი სოციალ-პოლიტიკური დოქტრინაა. მაგრამ, რადგანაც ყოველთვის არსებობს კატეგორია ისეთი ადამიანებისა, რომელთათვისაც სქემატიური აზროვნება უფრო მიმზიდველია, ვიდრე კრიტიკული, რომელიც ჩვეულებრივად დაუსრულებელ ძიების პროცესში იმყოფება,—მარქსიზმიც ნიადაგსა ჰპოულობს და ვრცელდება.

ყველა ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მარქსიზმი, როგორც სოციალ-პოლიტიკური დოქტრინა, ჩვენშიაც იპოვის ნიადაგს და თავის შესაფერ ადგილს დაიჭერს. ჩვენის აზრით, დღემდის მას შესაფერი ადგილი არ ეჭირა. იქ, სადაც ქართველი მემამულეც კი, მოძრაობის დროს, თავის ხმას მარქსისტს აძლევდა და თავისი თავი სოციალ-დემოკრატად მოჰქონდა, უეჭველია, არანორმალური პირობები ყოფილა ცხოვრებისა. სოციალ-დემოკრატების გავლენა გლეხებზე, თავად-აზნაურ წრეებზედაც კი აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მოძრაობის დროს სოციალ-დემოკრატების პირველი თვისება — მარქსისტული სოციალიზმი დაიფარა და გამოჩნდა მხოლოდ მეორე თვისება—დემოკრატიზმი. მოძრაობის დროს სოციალ-დემოკრატიას არ უჩენია თავი, როგორც პროლეტარულ პარტიას. ეს რომ ასე ყოფილიყო, გავლენის იმ მეათედსაც ვერ მოიპოვებდა, რომელიც ჰქონდა მოძრაობის დროს.

დროთა მსვლელობით ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. სოციალურ დიფერენციაციას მოჰყვება იდეიური დიფერენციაცია. თვითოეული კლასი თავის შესაფერ იდეიურ გამომხატველ საზოგადოებრივ ჯგუფს წარმოშობს. მაშინ ჩვენს ცხოვრებაში მარქსიზმიც თავის ადგილს დაიჭერს და, უეჭველია, უფრო გარკვეულ სახესაც მიიღებს. როგორც ზევითაც ვსთქვით, მარქსიზმი უკვე გარკვეული სოციალ-პოლიტიკური დოქტრინაა. იგი თავის თავს მეცნიერულ დოქტრინად ასაღებს და ყველა სხვა სოციალისტური აზროვნება არა მეცნიერულ, წვრილ ბურჟუაზიულ, უტოპისტურ აზროვნებად მიაჩნია.

არიან ისეთი სოციალისტები, რომელნიც მარქსიზმის ძირითად საფუძვლებს არ იზიარებენ. დასავლეთ ევროპამ წარმოშობა მთელი რიგი მეცნიერებისა, რომელნიც ცოტა ეჭვის თვალით უცქერიან მარქსისტულ მეცნიერებას და სერიოზულ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ მარქსიზმის მეცნიერულ საფუძვლებს. ისეთი დიდი დარგი სოციალური ცხოვრებისა, რანაირიც სასოფლო მეურნეობაა, თურმე, მარქსის მიერ აღნიშნულ კანონების თანახმად არ იზრდება და ვითარდება. ეჭვით უცქერიან არა მარტო იმის, თვით ძირითად საფუძვლს მარქსიზმისას და სერიოზულის საბუთებით ამტკიცებენ, რომ საზოგადოდ რაიმე ისტორიულ კანონის აღმოჩენა მეცნიერულ კვლევა-ძიების საშუალებას აღემატებაო. ჩვენ ამ ჟამად აზრადაც არა გვაქვს დაწვრილებით შევეხოთ ამ საკითხებს. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ არსებობს ფაქტი მარქსიზმის ძირითადი საფუძვლების უარყოფისა თვით სოციალისტების მიერვე.

მარქსისტები ყოველთვის იმის მტკიცებაში იქნებიან, რომ ჭეშმარიტი სოციალისტები მხოლოდ მარქსის დოქტრინის მიმდევარნი შეიძლება იყვნენ. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც იქნებიან ისეთი სოციალისტებიც, რომელნიც რწმენით გულწრფელი სოციალისტები იქნებიან, მაგრამ მარქსიზმს კი, როგორც სოციალ-პოლიტიკურ დოქტრინას, არ გაიზიარებენ. ეს დავა ეხლა არ დაბადებულა და ხვალ არ გათავდება. მარქსისტებს სრული უფლება აქვთ, ერთხელ აკვიატებულ აზრების მიხედვით, არა მარქსისტი სოციალისტები გამოაცხადონ არა მხოლოდ ისეთს ადამიანებად, რომელნიც, მათის აზრით, სცდებიან, არამედ ისეთებადაც, რომელნიც სცრუობენ და მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად სოციალისტობენ. რა თქმა უნდა, ასეთი ბრალდება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ჩვენ გვერდს ავუქცევთ იმ გარემოებას, რომ ყოველთვის ყოფილან და შემდეგშიაც იქნებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც იდეალად სოციალური სამართლიანობა დაუსახავთ, მარამ მეცნიერულ დისციპლინას იმდენად გაუწვრთნია მათი გონება, რომ მარქსიზმის მოძველებულ ჩარჩოებში ვეღარ ეტევა. მეოცე საუკუნეში ყველას ხომ ვერ დააკმაყოფილებს გულუბრყვილო თეორიები კონცენტრაციის პროცესის მძლეთა-მძლეობისა! ეს დავა, რომელსაც უეჭველია დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდს სამსახურსაც გაუწევს თვით მშრომელ ხალხის გათვითცნობიერების საქმეს, ჯერ მალე არ მოისპობა. ჩვენა გვგონია, რომ მარქსისტები დანაშაულობას სჩადიან არა იმით, რომ თავიანთ თეორეტიულ პოზიციების გამაგრებას სცდილობენ, არამედ იმით, რომ ყველა არა მარქსისტ სოციალისტს ხალხის მტრად აცხადებენ.

ეს, მეცნიერულ ნიადაგზე აღმოცენებული დავა, უეჭველია, ჩვენშიაც უნდა დაბადებულიყო, და სწორედ ასეც მოჰხდა. ჩვენშიაც გაჩნდა სოციალისტური მიმართულება, რომელიც მარქსიზმს გამოეყო. ამ ჯგუფის აზროვნება საფუძვლად დაედო იმ მიმართულებას, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს იდეიურ გამომხატველადაც განსვენებული არჩილ ჯორჯაძე ითვლება. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ განსხვავება მხოლოდ სოციალურ ეროვნებაში არ არსებობდა. ამ განსხვავებას ზედ დაერთო განსხვავება ეროვნული პროგრამისა. და ეს კი სრულიად საკმარისი გაჰხდა, რომ ჯგუფობრივ განსხვავების დამახასიათებლად გადაქცეულიყო არა ძირითადი შეხედულებანი სოციალურ საკითხების შესახებ, არამედ ეროვნული საკითხი, რომელიც მხოლოდ შემთხვევითა ჰყოფს ორ დემოკრატიულ ჯგუფს. ვამბობთ შემთხვევით, რადგანაც შეიძლება ადამიანი მარქსისტი იყოს, სოციალ-დემოკრატი, მაგრამ ეროვნული საკითხი კი ისე გადასწყვიტოს, როგორც მეორე დემოკრატიული ჯგუფი სწყვეტს. ხომ არიან ისეთი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას აღიარებენ! პოლონეთის სოციალ-დემოკრატები, მაგალითად, პოლონეთის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ, მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა, ისინი ხალხის მოღალატეებად და ბურჟუაზიულ ზრახვათა მატარებლად გამოაცხადოს. ჩვენში კი ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, ზოგიერთი ბეცი პუბლიცისტების წყალობით, რომ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია ჯგუფობრივ განსხვავების აუ-

ცილებელ პირობად გადაიქცა
სოციალ-დემოკრატია, ის უს
ეროვნულ-ტერიტორიალურ
ნომიის წინააღმდეგი უნდა
თითქოს მარქსიზმი და სოცი
მოკრატიზმი მხოლოდ მაშინ
სრული, როდესაც თან ავტო
უარყოფა ახლავს. თვით დ
მწერლები დაუსრულებლად
მტკიცებაში იყვნენ, რომ ორ
მოკრატიულ ჯგუფს ჰყოფს
ნალიზმი. და რადგანაც მთელ
ციონალიზმი მეორე დემოკრ
ლი ჯგუფისა ეროვნულ-ტე
რიალურ ავტონომიის მოთხ
გამოიხატება, ამიტომ გავრ
აზრი, რომ სწორედ ეროვნ
კითხია ჯგუფთა გამყოფი.
ყველაფერს რომ თავი დავა
ასეთი აზრების გავრცელება
ბელია თვით იმათთვის, ვისაც
მარქსისტული მოძღვრება
გაავრცელოს. ხალხის აზრო
ისპობა ყოველივე საზღვარ
ციალურ, პოლიტიკურ და
ნულ საკითხთა შორის. ს
მოქცეულია ეროვნული ს
როგორც უმთავრესი თვის
ფობრივ განაწილებისა მაშინ
საც იგი სულ ბოლოში უნდ
მოქცეული. ამიტომაც ხდებ
ხალხში, ფართო მასაში, ყვე
ტონომისტი ბურჟუად წარმ
ნიათ და ყოველი ჭეშმარიტი
კრატი ავტონომიის მოწინა
გედ. წარმოდგენილი გვაქვს,
დენი განცვიფრება ალიბე
ბევრი გულ-უბრყვილო მკით
სახეზე, როდესაც წაიკითხავ
რიძის სიტყვებს, ჩვენში
ეროვნულ-ტერიტორიალური
ნომიის მომხრეც არისო!

საიდან წარმოსდგა ასეთი
ბამობა? მხოლოდ იქიდან, რ
სელებმა თავიდანვე ყალბი
დაიჭირეს ეროვნულ საკით
უთანხმოების ცენტრად გად
ეროვნული საკითხი და არა
ვება ძირითად სოციალურ ს
ში. არანორმალურია ასეთი
მარეობა და არა ნორმალობ
გია იმისა, რასაც თვით ბ-ნმა
ძემ ეროვნული ნიჰილიზმი
მხოლოდ პირ-წმინდა უარ
ნიადაგზე შეიძლებოდა ღ
ბულიყო ასეთი შეხედულ
სწრაფად გავრცელებულიყო
დღეს გარემოება ცოტა შე
ეროვნული ნიჰილიზმი და
ლია თვით დასელების მიერ
მელნიც ეროვნულ საკითხ
გზებს ეძებენ. ჩვენ არა
იმედი არა გვაქვს, რომ
მიანები, რომელნიც მთელი
სიცოცხლე მხოლოდ ეროვნ
კითხს უარჰყოფდნენ და
ვინც კი ამ საკითხისთვის ზ
რეაქციონერებად და ბურ
იდეოლოგებად ნათლავდნენ,

# ფშაველები

(ეთნოგრაფიული მასალა).

### დალოცვა დედაკაცისა.

შენამც შაგეწევა ჩემის მამის სალოცავი, შენამც გიშველს ღმერთი. აგებ ღმერთმა გიცოცხლოს ცოლშვილი. ისრე გიცოცხლოს, როგორც შენ გულს უნდოდეს. საცა გაიარო ყველგან გამარჯვება მოგცეს. შენი ამჯობინოს შენის მტრისასა, ნურავისი თვალი და გული მოგრიოს. ჩვენის შველისადა ღმერთმა გიშველოს, ხელ-მხარი მშვიდობაში მოგახმაროს. ჩვენის დახედვისადა, მოხედვისადა, ღმერთმა კეთილადა განხოს, შენი პატივისცემა მეც კეთილად გადამახდეინოს. ღმერთიმც შაეწევა შენს ჯანსა. ღმერთიმც გიშველს. აიქამც გაგემარჯვება საცა ხმალნ იქმენ გელისა, მოციქულობდენ ისარნი, შუბნი იქნევდენ ენასა (ძველებური დალოცვა), შენამც შაჰრჩები და გაეზდები დედა-შენსა. გენაცვლე, გენაცვლე (და არა გენაცვალე), შაგენაცვლე, ჰირი მოგპარე, თავს შემოგევლე. ბარაქა, გახარება (მკის დროს). ხარ-გუთანს გაუმარჯოს (ხვნის დროს).

### ფიცი ქალისა.

ჩემ ძმათ მზემა. ჩემის ძმის მზემა. მოლალურის მზის მადლმა. აგრემც შამეწევა ჩემის მამის სალოცავი, მიშველოს ღმერთმა არა ვტყუი... ეცეცხლის სინათლის მადლმა. აგრემც მიცხონდებიან მკვდარნი (მოხუცებულისა).

### მუდარა.

აგრემც შაგეწევა ღმერთი, აგრემც გიშველს ფშაველთ სალოცავები. შენი ჰირიმე, შენი კვნესამე. აგრემც გიცხონდება ი ლამაზი დედ-მამის სული... თუ ეწამ და-ძმობისა და მეზობლობის გაჩენი... იმ შენის ლამაზის ხუტაის დღეგრძელობასა... თუ გწამ ცნობა-ნდობის გაჩენი... აგრემც თავს შამოგევლები, აგრემც წერას მოგხდი, ჰირი მოგპარე. აგრემც დამმარხავ. აგრემც დამიტირებ. აგრემც შაჰრჩები დედა-შენსა, აგრემც გიშველს ღმერთი. აგრემც შაგეწევა ღმერთი შენს ჯანსა შენი ჰირი, შენი სატკივარი.

### მოკითხვა დედაკაცებისა.

„მოხვედ მშვიდობითა!"—დამხვდი მშვიდობითა! „მემრე გენაცვლე რას კალოსა ხართ, ხო არავის რა გაჭირთ დიდსა ან ბატარასა? ან საქონი როგორა გყავსით? ბალღებს ხო არა გიტკივათ? საქმელი (საქონლისა) ძალიან მიგიძვირდათა?"—არა გვიჭირს, ღმერთიმც გიცოცხლებს ქმარ-შვილსა, დღესნამდე ვყრივართ ცოცხლები, ძროხანიც არიან დღესნამდი დონდილობენ, სულებს კი გააწევენ, სხვა კი არა ხეირი აყრავ.

„ან ქალ-სიძეთი ვეღარა იცითა?"—როგორ არა, ძოღანისაც მანდ ეგდო ი ქალ-ბნელი, მატყლის კეჭანი ჰქონდენ, ცხრა ათან ცხვარნი ჰყვან მანდა, ამ ბიჭს (თავის შვილზე უჩვენებს) ურევავ ცხვარჩია, იმას დაუდის, აი იმეების ნაპარსი წაილო, კარგადა ვართ არა გვიჭირსო. ღმერთმა კარგათ გიკითხოს და გიცოცხლოს მზის საფიცარი. (ე. ი. შვილი-ვაჟი).

„იგ მიამბე და ან ქურსიკა როგორ არი? ჩამაუდნი ი ბეჩავსა, ძალიან დაბერდაა, თვალთ ძალიან აკლია?!"—ჰხედავს კიდევა, კაცის ცნობა აქვის. ჯოხაით დავალის შინა-კართა?—

„მემრე გენაცვლე ან მარცვალაანი როგორ არიან გამიხარდი შინ არია თუ ცხვარში წავიდა?

—კარგად არიან არა უჭირს არცრა იმათა. გამიხარდი მეორე კვირა იქნება რაც ცხვარში წავიდა. სნეული კი არა ბედენას სჩადის: არი ერთს წრეზედა; გუშინ მკითხავთან ემზადებოდის. არხლის კარს ახალი მკითხავი გამოჩენილა, ქალთამზე, ვექობ, კიდეც წავიდა, კარგსაც აქებენ. შააჯერეს საცა რამ მკითხავები იყვნენ და ბეჩავს ბუთლას კი ვერა უშველეს, სუყველა კი იმას ეუბნება მიზეზით (შარი ხატისა) არის ავადაო. და ილოცოს ხატიცა და ღმერთიცა—„ვაჰმე, ვაჰმე, ახა ვაგლახი მე, ჩამაუდნი ი ბეჩავსა. ღმერთო ნურას გაწყენე, დაილამა, ემაგვდენს ტანჯვით ყოფნას ისრევ სიკვდილი სჯობია"—

### მუქარა

დაიცადე, დაიცადე, კიდეც მოგვიკვდები თუ შენი ჯავრი შავჭამო. ისე გაუხდი საქმესა თავის ხორცს კბილით იგლეჯდეს. სად წამივა, სადაცაში ავდება თან ავყვები, მიწაში ჩაძვრება მეც თან ჩავყვები და მაგის ჯავრს კი არა ვჭამ. კარჩი გამოსავლს დაუღლევ. ისე შავარცხვენ და მოვთხრი ქვეყანაშია. შენს კაი ბიჭობას ჩალად არ ვიყიდი, აი, ჩალადა, მაგ ჩალა ცხენზეითაც მალე ჩამოგახდენ.

ღმერთმა ნუ მამყოფოს რო შენი ჯავრი ვჭამო. ღმერთმა ნუ მაცოცხლოს რო როცა ვთქვა კიდეც ვერ ავასრულო, შენ რა ხარ რა? დაგლეჯ თავ-თავად წიწილასავით, და ისე გადაგყრი. შენ რა ხარ, შე ბეჩავო, თუნდა გიყიდი, თუნდა გაგყიდი. ბალღები გააბთხილე ი ყანებს ნუ მილეინებენ, საქონს კარგა მოუარონ თორო რასაც მოვასწრობ შიგ დავკლავ. წყემსებს დავხდი ტანისამოსსა და თითოვით ტიტველებს გაუშვებ.

თოფით რას მემუქარები?! მინამ შენ თოფს ხელში აიღებ, მე კიდეც დაგკრავ თოფსა; სროლა შენზე კარგი, ვიცი; ხმლითა შეცემ ჩემი ხმალი უფრო მჭრელიც არი. თუ ხელით ცემა იქნება და, შე საწყალო, ბურნითივით გაგფშვნეტ თუ მოვინდომე.

ისე მოგაკვლევ სურვილსა ნემსს ყუნწზე აეგებოდე (ქალის მუქარა).

### დაცინვა.

უყუროს, უყუროს, რასა
რასა! ნეტავი კაცს მაინცა ჰგ
მეე! რა სადღდო რომ არი
თავ-ცხვირი, მაგის კბილნი
წლიკვნი! (კანჭები).

ბეჩავო, ბეჩავო, რა მჭერლ
ხარ და არ იცი! ბაყაყივით
ცვივნაზე ჰქონ თვალნი.

ბევრის სტუმარო, ცოტას მას
ლო მატყლი მინდა, მატყლიო,
მზემა შიგ გაჰვარდები! ეს ჩამე
წყალი კი დადგება და შენი
არა, ჰროშავ რაც ენის წვერ
გადგება. ძალიან პირ-მსუბუქი
(ცოტას მჭამელი) ათს ხინკა
შაშჭამ, მეთერთმეტეს ხელით
იყულებ. (ლოგინში) ერთურ
რას დავაყვედრებთ: მე კოკ
ბრუტიანი (ბრუციანი). მინ
და არ ვიცი როგორა გცა
კაცს) კიბეს თუ სამ ვიშოვნი,
ვაკეთებ რო კიბით მაინც შემო
თავ-პირში. დადეგ, დადეგ,
რელ ჩვილო, შენა (დამბლი
ყვიციანო, ცარიელო კვეხნ
არაის გამკეთეე! წვერთა ჰ
დის, თავ-მომწონარა, ჩაბარ
(დაბალი ტანისა).

### წყევლა დიაცისა.

მიწამც ჩამოგშლის აგრიაა!
ვის მიწის ჩამოსაშლელო. დ
ტოს ცხრამ წმინდამ გიორგ
სიკვდილის დაბუნდებულო!
მივაკლავ იმას დედ-მამათა.
ხენით აგრიაა!.. კოპალის (
ლახტ-ნაკრავო. დაჰკვლიე,
ლიე შე თვალ-დასათხრელო.
თმა რო დაგთხარნეს ე თვალ
ჭამე წახვალ, საცა მიდიან და
მოდიან. ჰირი შენს თავსა და
ღმერთმა ისე გალხინოს, რო
ალალს ლუკმას შენ მაგასა ს
დამეხილო, შე ცით მეხ-დაცე
შე მიწა-წყალო. შე არ გას
ლო. ნუ გაგზარდოს ღმერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცვლიან აზრს და ქეშმა- …ებას იპოვნიან. პირიქით, ღირე- … ებათა ხელახლა შეფასების …ოს, დასელებმა სწორედ ისეთს … ექტს წაავლეს ხელი, რომელიც …ა არსებულ პროექტზე უფრო …ლი და უვარგისია. მაგრამ ეს სხვა- … შორის. ამ ჟამად ეროვნულ- …ლტურულ ავტონომიის კრიტი- … არა ვსწერთ.

…ხედავად იმისა, რომ ძველი …ციებისაგან განთავისუფლება … ისე ადვილია, დასელები მაინც …ილან მომხრენი ტერიტორია- …ური პრინციპისა. ამას თვით ბ-ნი …რიძე ამოწმებს. ჩვენა გვგონია, …მ დღეს, ახალი გზების ძიების …ოს, ტერიტორიალისტები ვალ- …ულნი არიან ხმა აღიმაღლონ და …ქვან თავიანთი სიტყვა. თუ არიან …ლთა შორის მომხრენი ტერი- …ორიალიზმის პრინციპისა, მათ უნდა …როდ გამოსთქვან თავიანთი აზ- …ი. ყველა სხვა სარგებლობასთან …რთად ამას ის მნიშვნელობაც ექნე- …ა. რომ ფართო მასაში გაჰფანტავს …მ ყალბ აზრებს, თითქოს სოციალ- …ემოკრატი უსათუოდ ავტონომიის …ააღმდეგი უნდა იყოს. რახან და- … თა შორის აზრთა სხვადასხვაობა …ებობს, ჩვენის აზრით, ამ სხვა და …ხვაობამ თავისი გამოხატულება უნ- …ა ჰპოვოს პრესაში.

**არ. ჯ—შვილი.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ჩვენ გვატყობინებენ: ბ-ნს **ოლივერ უორდროპს** ინგლისურად უთარგმნია ვახტანგ მეფის კანონები და ამ მოკლე ხანში მისს ბეჭდვასაც შეუდგება. ამ შრომის ერთი ნაწილი უკვე იბეჭდება სამეფო სააზიო საზოგადოების მიერ (ლონდონში). ამავე საზოგადოება, საცაა, შეუდგება ბეჭდვას ბ-ნ უორდროპის მიერ ქართულიდან ინგლისურად თარგმნილ **„ვისრამიანი“**-სას. გარდა ამისა, პარიზში სასულიერო ჟურნალ „Revue de l'Orient Chretien“-ში იბეჭდება დეკანოზ კორნ. კეკელიძის შრომა **„ლიტურგია წმ. იოანესი“**, თარგმნილი ბ. უორდროპისა და დ—რ კონიბეარის მიერ.

✦ **ახალ წელიწადს ვაჭრობისათვის** მესამე უბნის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა ე. ლომიძემ ოქმები შეუდგინა საკონდიტეროების მეპატრონეთ: კ. სააკიანცს, ლოტს, ნ. სალთყაიას, რენიეს, საგანელოვს და სხვებს.

✦ **საახალწლო საჩუქრად** წელს ტფ. საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის მოხელეთ, 7,000 მან. დაურიგდათ.

✦ **ახალწლის შეხვედრამ** ახალ კლუბში დიდის ამბით ჩაიარა. დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა ფართო და მრავალმხრივ პროგრამის შესრულებით.

✦ **სატყეო სკოლა.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო ტფილისის სამოქალაქო ერთკლასიან სასწავლებლის მასწავლებელს ზ. გ. არჯევანიძეს, რათა მან გახსნას საზაფხულო სკოლა პანსიონით და საყმაწვილო ბაღით სუსტის ბავშვებისათვის საღ ჰაერზე დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილის ძის მამულში, სოფელ წაღვერში. სკოლა შარლოტტენბურგის სატყეო სკოლის—„Yaldshcule“-ს ტიპისა იქნება, რომელიც რუსეთის იმპერიაში ჯერ პირველია. სკოლის მიზანი: 1) ხელი შეუწყოს სუსტ ბავშვების გამოსაღებას, 2) მოამზადოს ბავშვები იმ საგნებში, რომელშიაც განმეორებითი გამოცდა აქვთ დანიშნული და 3) დაუახლოვოს ბავშვები ბუნებას. საშუალებანი: სუფთა გრილი ჰაერი ნაძვნარში, სალი საჭმელი (ხუთჯერ დღეში), წესიერი ფიზიკური შრომა, მდინარეში ბანაობა, მოძრავი გასართობები, გიმნასტიკა, სამზარეულოში მოხმარება და ფრინველთა და ცხოველთა მოვლა. სკოლაში იქნება ქსენონი, აფთიაქი, ექიმი და ფერშალი. პირველ საათზე სკოლა იქნება დანიშნული 6—12 წლის ვაჟებისათვის, სწავლის, საჭმლის და საექიმო ქირა თითო ყმაწვილზე 50 მან. (ღარიბებისათვის ფას დაკლება და ნაწილ-ნაწილად ფულის შეტანა). სკოლის შენობები უკვე შენდება. მეცადინეობა დაიწყება ამა წლის 1 ივნისიდან.

✦ **ქალაქი და ტრამვაი.** მოკლე ხანში ქალაქის საბჭო ფრიად საინტერესო საკითხს განიხილავს. საქმის ვითარება შემდეგია: შარშან ტრამვაის დირექციამ ქალაქის გამგეობის დაუკითხავად ტარიფი გაადიდა. ამის გამო ქალაქის საბჭოს ზოგიერთმა ხმოსანმა აღძრა საკითხი, რათა დირექციას ტრამვაი სულ ჩამოერთვას, რადგანაც ხელშეკრულობა დაარღვია. ამ საკითხთან ერთად საბჭოს წარედგინება დასკვნა საიურიდიო კომისიისა.

✦ **გ. წერეთლის ძეგლის კურთხევა.** ამა იანვრის 12-ს დიდუბის ეკლესიის გალავანში დანიშნულია კურთხევა ძეგლისა განსვენებული გ. წერეთლის საფლავზე. ამ დღეს შესრულდება 14 წელიწადი გ. წერეთლის გარდაცვალებიდან.

✦ **ვეფხის ტყაოსანი** ი. აბულაძის რედაქტორობით დაიბეჭდა და უკვე ასაკინძად გაიგზავნა.

✦ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ი. როსტომაშვილის მიერ შედგენილი ახალი სახალხო წიგნები: „საფუძვლები ზნეობრივ აღზრდისა ჩვენს დროში“ და „როგორ არის მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე ბოლგარიაში“ ფასი თვითეულ წიგნისა 10 კ.

✦ **ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების** კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო 2 იანვარს დეპუტატთა საკრებულოში, მოჰხდება კვირას, 5 იანვარს 1914 წელს დეპუტატთა საკრებულოში. ვახტანგ კოტეტიშვილი წაიკითხავს რეფერატს ი. დავითაშვილზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება.** ამ დღეებში გაიმართა ამ საზოგადოების წლიური კრება ექიმის ბ. ნავასარდიანის თავმჯდომარეობით. კრებამ დაადგინა, გახსნას წიგნის საწყობი. 1914 წლისათვის საბჭოს შემოსავალი ნაანგარიშევია 64,275 მან., რომელიც სავსებით დაჰფარავს მოსალოდნელს ხარჯს. კრებამ დანიშნა სკოლების დასახმარებლად 27,461 მან., ხუდაზიანის სახელობის თავშესაფარისთვის 6800 მან., სასადილოსთვის 5000 მან., ბიბლიოთეკისთვის 3364 მან, და სხ. საზოგადოების 63 განყოფილების შემოსავალი სხვა და სხვა ქალაქებში ნაანგარიშევია 73.498 მან. კრებას მოხსენდა, რომ ვინაიდგან პეტერბურგის საეკლესიო საბჭომ მოუსპო საზოგადოებას 4000 მან. დახმარება, ადგილობრივ მდიდრების თათბირმა დაადგინა აძლიოს საზოგადოებას 5 წლის განმავლობაში ყოველ წლიურად 9700 მანეთი. ნ. ბელიანმა დაუნიშნა საზოგადოებას ყოველ წლიურად 200 მან. ბიბლიოთეკისთვის, კ. ალიხანიანცმა შემოსწირა 1000 მან. და სხ. სასკოლო ფონდის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ ფონდიდან სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ მასწავლებელს, რომელიც ფონდის დაარსების დღიდან მსახურობს სომხურ სკოლებში.

✦ **თვიური ჟურნალი.** ერთის წლის შეჩერების შემდეგ გამოვიდა დეკემბრის ნომერი ჟურნალი „არორის“, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულა „სტატისტიკა ოსმალეთის სომხებისა“. ამიერიდგან ჟურნალი ყოველთვე გამოვა.

✦ **სომხურ სამეურნეო საზოგადოების კრება.** კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია მოხსენებამ იმის შესახებ, თუ რა ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლება ძმ. ჯამგაროვების სახელობის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. კრებამ დაადგინა, სთხოვონ ჯამგაროვებს, თუ შესაძლებელია, მათ მიერ დაარსებულ სკოლაში საგნების სწავლება სომხურ ენაზე იქნეს. კრებამ გადასწყვიტა აგრეთვე განსვენებული ალექს. ქალანთარის ხსოვნის აღსანიშნავად შეიძინოს საკუთარი სახლი „საზოგადოების“ და გაზეთ „მშაკის“ რედაქციის მოსათავსებლად.

## სოფლად.

✦ **ფშავ-ხევსურეთი.** სამსახურის ასრულების დროს 27 ქრისტეშობისთვეს ღამით კლდეზე გადავარდა მუქოს მღვდელი **იაკობ ჯანელიძე**, მეორე დღეს ის უფსკრულში მკვდარი იპოვეს. განსვენებული იყო მოხუცი, დიდხანს ემსახურა მრევლს და იყო დაუღალავი მუშაკი თავისი სამსახურისა. ჭირისუფალი არავინ დარჩენია.

# ქუთაისის ამბები

ქალაქის საბჭომ დაასრულა 1914 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის განხილვა. მთელი შემოსავალი ვარაუდით უდრის 490,000 მან., ამდენივეა გასავალიც. ამ ჯამში ეგრედწოდებული „სავალდებულო გადასახადი“, რომელიც მთავრობის მიერ დაკისრებული აქვს ქალაქის თვითმართველობას და განსაკუთრებით (თუ მთლად არა) მთავრობის ინტერესებს ემსახურება, შეადგენს 124,000 მანეთს, ანუ მთელი შემოსავლის 25%-ს. ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბალანსის მოსახდენად ხსენებული სავარაუდო შემოსავალი ერთობ გადიდებულია (სრულიად შეტანილია ეგრედწოდებული „დასაფასებელი გადასახადი“, მისი ძველი „ნედოიმკები“ და აგრეთვე ყოველგვარი გადასახადი), ასე რომ 100,000 მანეთი „ყინულზე დაწერილად“ უნდა ჩაითვალოს,—დავინახავთ, რომ „სავალდებულო გადასახადი“ ქალაქის ნამდვილ შემოსავალთან შედარებით 30%-ს აღემატება.

სავარაუდო შემოსავალ-გასავლის განხილვის დროს საბჭომ შემდეგი დადგენილებანი მიიღო:

ა) ქალაქის ყოველგვარი შემოსავლის ანგარიში უნდა მიენდოს ბუღალტერს რომელსაც უნდა დაენიშნოს ორი ახალი თანაშემწე (სამი თანაშემწე უკვე ჰყავს); სხვა და სხვა გადასახადების შეკრება კი უნდა მიენდოს ერთს აგენტს და სამს მის თანაშემწეს;

ბ) იმ 300 მანეთიდან, რომელიც ეძლეოდა ადგილობრივი წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელს უღარიბესი მოწაფე ქალების სწავლის ფულისაგან განსათავისუფლებლად, 75 მანეთი მიეცეს ხსენებული მიზნისათვის მთავრობის ქალთა გიმნაზიას;

გ) ქალაქის სამსახურში არ იქმნენ მიღებულნი ისეთი მუშები, რომელთაც ქალაქის ექიმი ჯანსაღად არა სცნობს;

დ) დაინიშნოს ახალი თანამდებობა ქალაქის კონტროლიორისა, რომელსაც უნდა ირჩევდეს ქალაქის საბჭო და რომელსაც წლიურ ჯამაგირად 1200 მანეთი უნდა დაენიშნოს;

ე) ქალაქის თეატრი იჯარით მიეცეს ისევ დრამატიულ საზოგადოებას წლიურად 1200 მანეთად (ნაცვლად წინანდელი 2000 მანეთისა), იმ პირობით კი, რომ საზოგადოების გამგეობამ უსათუოდ იყოლიოს საკუთარი დრამატიული დასი, შეღავათიანი პირობით წელიწადში ექვსჯერ დაუთმოს თეატრი სხვა და სხვა საქველმოქმედო და განმანათლებელ საზოგადოებებს წარმოდგენების გასამართავად და სახალხო უნივერსიტეტს კვირა დღეობით 5 მანეთად დაუთმოს თეატრი ლექციების გასამართავად (თუ კვირა დღეობით თეატრი თავისუფალი იქმნება);

ვ) ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებლებში წლიური სწავლის ფული 6 მანეთიდან შემცირებულ იქნეს 3 მანეთამდე და, გარდა ამისა, მოწაფეთა 50% სრულიად განთავისუფლებულ იქნეს სწავლის ფულისაგან;

ზ) ქალაქის დამგველებს და ნაგავის გამზიდველებს მოემატოთ ჯამაგირი თვიურად ორ-ორი მანეთი.

დანარჩენი თხოვნები ჯამაგირების მომატების შესახებ, გარდა სამი-ოთხისა, საშუალების უქონლობის გამო უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

საბჭომ, მგონი, რაღაც გაუგებრობის გამო, უარჰყო ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგეს ბ-ნს ტყეშელაშვილს მოჰმატებოდა ჯამაგირი, წლიურად 480 მანეთი. თუ არ გაუგებრობით, სხვით ვერაფრით აგვიხსნია საბჭოს დადგენილება იმ პირის შესახებ, რომელიც მეტად სინიდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას და ერთი წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ ემსახურებოდა ქალაქს.

— ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე ერთხმად მიიღო ქალაქის გამგეობის მოხსენება შესახებ ქალაქის პოლიციის რეორგანიზაციისა. ამ ჟამად პოლიციის დაბალი მოსამსახურეების შტატს შეადგენს 46 უმცროსი და 11 უფროსი პოლიციელი. გარდა ამისა, ქალაქის თვითმართველობას, მთავრობასთან შეთანხმებით, დაქირავებული ჰყავს 40 აჭარელი დარაჯი და ერთიც მათი უფროსი, მეფის მოადგილის განკარგულებით, 1 იანვრიდან დარაჯთა შტატი უნდა გაუქმდეს და ამის ნაცვლად იყოლიონ 9 უფროსი და 36 უმცროსი პოლიციელი. ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით კი უნდა აღიძრას შუამდგომლობა, რომ ქალაქს არ დაეკისროს იმაზე მეტი გადასახადი პოლიციის შესანახად, რასაც ახლა იხდის, ე. ი. სულ 22,765 მანეთზე მეტი. ამ ფულით კი შეიძლება პოლიციელთა არსებული შტატი გადიდდეს მხოლოდ 4 უფროსისა და 27 უმცროსი პოლიციელის მოწვევით. ამგვარად ქალაქს ეყოლება სულ 15 უფროსი და 73 უმცროსი პოლიციელი; პირველთ ექნებათ თვიურ ჯამაგირად ოც-ოცი და მეორეთ—ოცდა-ხუთ-ხუთი მანეთი.

— ამ საშობაოდ ქუთაისში დაკლული ღორი ძლიერ ნაკლებად შემოვიდა სოფლებიდან და, რაც შემოვიდა, ისიც მჭლე, რის გამო ღორის ხორცის ფასმა ძლიერ აიწია. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ სოფლელებს არამც თუ ღორის გასასუქებლად, თავის სარჩენადაც აღარ აქვთ სიმინდი.

— როგორც გავიგეთ, ნამესტნიკის განკარგულებით დროებით შეუჩერებიათ ქვიტირის საზოგადოების ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხებისაგან დარჩენილი საკომლო გადასახადის შეკრება. ამასთანავე მეფის მოადგილის კანცელარიას მოუთხოვია ქუთაისის სახაზინო პალატისაგან ცნობები ქვიტირის საზოგადოების ვექილებისაგან აღძრული შუამდგომლობის გამო ხსენებული „ნედოიმკების“ პატიების შესახებ. ეს ნედოიმკები 3618 მან. უდრის.

— კავკასიის წყალთა სამმართველოს მიერ შედგენილი პროექტი და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა ქვიტირს, მაღლაკსა და ფარცხანაყანევში სარწყავი წლის გამოყვანის შესახებ საქმის მოთავეებმა უკვე მიიღეს. სამმართველოს პროექტით, ქვიტირის საზოგადოებამ ცალკე უნდა გაიყვანოს სარწყავი წყალი ქუთაისიდან, ეგრედწოდებულ „ასათიანის წისქვილი“-დან, მაღლაკსა და ფარცხანაყანევის საზოგადოებებმა კი ერთად რიონის სადგურიდან. პირველს წყლის გაყვანა დაუჯდება სულ 73,426 მან. და მორწყავს სულ 2124 დესეტინა მიწას; მეორესა და მესამეს კი—190.545 მან. და მორწყავენ სულ 6979 დესეტინას. თუმცა წყლის გამოყვანა ძვირად ჯდება, მაგრამ წლევანდელმა მოუსავლობამ განსაკუთრებით ისე დააშინა მცხოვრებლები, რომ მზად არიან მამულზე ხელი აიღონ, ოღონდ კი სარწყავ წყალს ეღირსნენ. დიდი იმედი აქვთ რომ დეპუტატი ვ. გელოვანი, რომელმაც ადგილობრივ ინახულა ხსენებული საზოგადოებები და გაიგო მათი ჭირ-ვარამი, დაეხმარება მათ წყლის გამოსაყვანად მთავრობისაგან გრძელვადიანი სესხის შოვნაში.

**ისარი.**

# მოწერილი ამბები

**ქიზიყი.** ქიზიყელთა მთელი გულისყური და ფიქრი ამ ჟამად ამინდისკენაა მიმართული. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ათ დეკემბერს მოსულს ცოტაოდენ თოვლს, რომელიც მალე აიღო, და ერთიც გოჯი მიწაც ვერ დაასველა, ჩვენში შვიდ-რვა თვის განმავლობაში რიგიანი წვიმა-თოვლი არ მოსულა და აბა ჯეჯილები საიდან-ღა იქნება ნახნავებში?!

ქიზიყელთა მინდვრები, რომ მთლად დაიაროთ მწარეთ დაღონდებით. ანეულები ისევ ისე შავად გამოიყურება. მხოლოდ ალაგ-ალაგ მიწა განგებ რომ გადასჩიჩქნოთ და გასინჯოთ, შეატყობთ, დათესილი

---

ღიწყევლილო ნუ რა კარგი გაჩვენოს ჩემა წილმა მოწყალემა... ნურა კარგი გახილოს ჩემის მამის სალოცავმა. შე სწორჩაით გამოსარჩევო შენა. შე ცით მეხ-დაცემულო. შე ქალობა შავო, შენა.

### საქონლის წყევლა.

შე მშიერაის მგლის შასაჭმელო. შე სამგლევ, შე უპატრონოვ, შენა! გა[illegible], შე საყორნეო, შენა. ო; დედო, შე ბაითალმანო!

### ჭირის წყენა.

ღმერთმა ხო იცის მეწყინა შენი ზარალი. მაგრამ ჩვენ არას ვარჯულებთ: ყველა სიკვდილის შვილი ვართ, აქ არავინ დავრჩებით, ყველას იქ გვინდა წასვლა, სადაც ჩვენი მამა-პაპანი წარსულან. ღმერთმა ზა[illegible]ი ზარალად გაკმაოს, დაცემისა აგაყენოს, ნულარა ავი და ურიგო მოგარგინოს; ვინც დაგრჩა ისინი გიცოცხლოს და გიმრავლოს. შენი თვალი და გული ნულარაით აატიროს.

პასუხი: ღმერთმა წყენა აჰხა[illegible]ოს თქვენს თავსა—ვიცი თქვენის გუ[illegible]ის ამბავი. ჩემის შაბრალებისა[illegible] მადლობელი ვარ, თქვენი ავი ნურა გვახილებინოს, ნუც გაგვაგონ[illegible]ს.

### საყვედური.

არა გცხვენიანა, კაც არა ხარა? [illegible] გარცხვენის ე წვერ-ულვაში, მითამ ქუდი კი გხურავ. რა გიქნავ, რა ჩა[illegible]დენავ? შენი მუცელი შენს ქვე[illegible] მითამ არი, გასძღები და აღარ იცი რასა სჩადი? ჩაასხამ რამდენსაც [illegible]სს მოგაწვდიან, იმას კი აღარა ჰფიქრობ—დაიცა ცოტა დავლიო, და[illegible]თვრები, ყროლად გავხდებიო. ვინ იცის ვინ გილანძღავ, ვისთვის გიცავს, რა ჩაგიდენ-მოგიდენავ! კაცს კაცობა უნდა შაჰგვანდეს, დედაკაც—დედაკაცობა ის რატო არ იცი?!..

კაცმა იქამდი როგორ უნდა გაიმეტოს თავისი თავი, რო მუცელი თავზე ჩამოიცვას და ისითა დავიდოდეს. კაცს სხვისა კი არა, თავის თავისა უნდა ეშინოდეს!..

არა გწამთა ღმერთი? არ იცითა რასა ჰქვიან ცოდვა-მადლი? არა ხართ პურის მჭამელნი? კაცმა ნახოს ჩვენ ფერაის ცოდვა-ჭირით ხვნა-თესვა და ასე ნახნავსა და ნათესს უოხრებდენ და უტიალებდენ, გაგონილაა, თქმულაა, თქვენი ჭირიმეთ?! მთელის წლის მოსავალზეით ამაღებინეთ ხელი, მეყოფა ამდენი მოთმენა; არა გწყევთ, არა გლანძღავთ, გეხვეწებით, გემუდარებით—გაბთხილდით, გააბთხილეთ ბალღები, გაუჯავრეთ, ეშმაკ-ქაჯს კი ნუ შაჰხედვენ, აი საქონს უგდონ ყური!

გაგიწყრეს, თეთრუავ, წყალ-წისქვილის გამჩენი რა მწარე ხარ, და ხვალ, დასწუი—წისქვილს არავინ არავინ მაძლევს, არავინ მაფქვევინებსო. რად ვინ დაგაფქვევინებს?! ვისა აქვ ი მოძულებული წისქვილი რო საშენოდ გახადოს? უნდა ან ნედლი საფქავი დააყარო, ან დაუკეთებელი, ან უნდა აყივლო. დააყრი საფქავსა, წახვალ თავად წამასწვები, ტკბილს ძილს გამაცხობ და ფეხებზე გკიდია თუ საფქავი ჩამუა და წისქვილი იყივლებს.

აბა რა უოხრო და უტიალო გულგაცვივნილს წისქვილს ეხლა?!.. კიდევ მოდი წისქვილისადა და მაშინ მე ვიცი როგორს წისქვილსაც მოგცემ. წისქვილისად აღარ მასდგა ჩვენს ქლიკი, თორო, ჩემი მკვდარი ცხონებამა, ერთს საგანთიელო (საკვირველი) საქმეს ვიზამ...

რად გინდა რო შავჩვენდეთ ერთურთს არას უბრალოზე. ხო გაგიგონია: როსტომ თქვა გმირი მეც ვიყავ ჯირითი შამოვისრიე, მეზობლის შაჩვენებასა (შეძულებასა) ისევ დათმობა ვირჩიეო. განა ჩხუბი მე არ ვიცი. ჩხუბზე ადვილი რა არი მაგრამ არა მწადიან შაგჩვენდე, შამოგიმდურო შენ კი მაგას არა ჰფიქრობ სრულ იმაზე ხარ დამდგარი. რითაც გამარისხებ და შამიჩვენებ განა ეგ იმედი მქონდა შენი: რა გიუბნავ, რა მიგიჩმახ-მოგიჩმახავ, სირცხვილი არ არი? კაცს წვერულვაში სირცხვილისად მოუვა განა შნოსადა.

მოკეთე იმით მინდა ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე გაიგის. და არა იმითა მარტო შამსვას და შამჭამოს, თვალი მარტო გატანაზე ეჭიროს და მოტანაზე კი აღარა ფიქრობდეს. მაგას არ მოგელოდი, რამოდენა ჭირი და ბოროტი გადმოვყარეთ ერთხელ აღარ მოგვხედეთ, აღარ გაიარეთ, განა შენი მოტანილი რამ მინდა. ის მინდოდა ჭირის დღეს მაჰსულიყავ, გულს დამედებოდა, ქვეყანა განახავდა—მაგასაც მოკეთე ჰყოლიაო—იტყოდენ. ჩემთვი ეს ძვირადა ღირდა. წადება რო იცი, კაცო, მოტანაც იცოდე. გაგაქვ, რაც საციქველი*) მქონდა სუ შენ გაიტანე წაიღებ, შე დალოცვილო, და მოტანა კი აღარ. იცი დასდებ შინა და გიძე—არაფერი. აღარა ჰფიქრობ—იქნება პატრონსა სჭირდება, წავიღო, ჩავაბარო თავის ტიალი და თხერიო. იქნება იმასაც ჰფიქრობ თირილას დაავიწყდება და შაჩრჩებაო. ეგ ხო ქურდობასა ჰგავ.

მე შენ ძმად მიმაჩნდი, ძმასავით გიყურებდი და შენ კი მტერიც არ უზამს, რაც მე საქმე მიყავ. შენ კაც არა ჰყოფილხარ, სრულაც არაი გცოდნია. კაცის სიკეთე პურის ნაფხვერივით კალთაზე გქონდა დაბნეული—გადაიბერტყე და არაფერი, მორჩა და გათავდა. ეჰ, დედას მტრისასა, შენც გაჰხდი ქვეყნის გულისადა და მეც გამხადე.

რომელ მთასაც არ მოველოდი ფეხები სწორედ იმან დამაზროვო—შენ ისე მიყავ.

### შეჩალება (მიტკივნება)

ჩამოგიდნი აგრია, შე ბეჩავო, რა ცუდი საქმე მოგივიდა არ მექშერებ (მემეტები), ღმერთმა ხო იცის, დასაღონებლადა, საზარალოდა: კაც იყოს ცოცხალი თორო სუყველა იქნება—ქონებაც, ცხოვრებაცა, უკაცოდ კი არა იქნება. მადლობა ღმერთსა, ტირილითა და ჩივილით აღარა გვექნება, წამხდარს საქმეს აღარა ეშველება ტირილითა და ჩივილითა. ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შაგვიბრალებენ, მრავალსაც გაიცინებენ მუქარას დაგვიბარებენ.

### დათირება (დაყვავება)

სუ თუ ღმერთი გწამ. განა სუ მუდამ გულს უნდა აჰყვეს კაცი, ხან და ხან უნდა დასთმო... უნდა გაუჯავრდე თავის თავსა, თავის გულსა. კაცს იმდენად სხვა ვერ დააზეინებს, რამდენსაც თავის თავი. კაცი თუ აჰყვა თავის გულსა ვინ იცის რას ჩაიდენს. დაამდი, დაწყნარდი. სისხლი სისხლით არ დაიბანება. ავს ავი მოსდევს, კარგს—კარგი. ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი. შააფურთხე ეშმაკს, პირჯვარი დაიწერე, ღმერთი ახსენე სთქოდი: ღმერთო, ის მაქნიე, ის მაფიქრე, ის მათქმიე რაც ჩემთვისა სჯობდეს და გამოდგებოდეს სააქაოს, და საიქიოსაო.

### სურდოს შელოცვა.

სურდო შევკარ, შევკარ, შევბაქიქე, შავსა ძაღლსა გადავკიდე; შავი ძაღლი წყალს გავარდა, სურდო წყალში ჩამივარდა.

### სადღეგრძელო.

ღმერთმა გაცოცხლოს და გადღეგძელოს, ვისაც შენი სიცოცხლე არ უნდოდეს, ღმერთმა ის ნუ აცოცხლოს. შენი ამჯობინოს შენი მტრისას. შაგეწიოს ფშავ-ხევსურეთის სალოცავები, კეთილ საქმეზე ხელი მოგიმართოს. გაგახაროს (ქალს) ძმები გიცოცხლოს, შენს ბედნიერობას შაგვასწროს, შენს მაყრად მოვდიოდე, ქორწილში ღვინოსა ვსომდე. ბებერო, გაცოცხლოს მანამ გინდა რო იცოცხლო, ღმერთმა მოგცეს მუხში ჯანი და თვალის სინათლე, შენი შვილების ხელით გაღირსოს გულზე მიწა. გიცოცხლოს ისინიც, ვინც გყვანან და გეიმედებიან. სააქაოს ცხოვრება მოგცეს, საიქიოს ცხონება.

ბატარძალო, გაგახაროს კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ოჯახში, ისითა ქვა-ნამუსისა გამყოფოს რო თხასა და მგელს ერთად აძოებდე, ისითა საყვარელი გამყოფოს რო დედამთილი მამამთილს ეჩხუბებოდეს როგორ თუ ბატარძალი გამიჯავრეო და მამამთილი დედამთილსა.

მე მაამოს, თქვენ გაგიმარჯოსთ,—ესე მტერი დაგეცალოსთ.

მამაო მღვდელო, შენც გაცოცხლოს, შენი წირვა-ლოცვის მადლი შენც შაგეწიოს და ჩვენც, ცოლშვილი გიცოცხლოს.

ბალღო, შენც გაცოცხლოს, დედმამა გიცოცხლოს, კაი კაცი გამოგიყვანოს, — პურადი, გულადი, — მტერს მტრულადა ჰხვდებოდე, მოკეთეს მოკეთურადა, არ იყო წარაწარაი მე აქ ვილოცები გამგონე ღმერთია.

### შესანდობარი.

შაიწყალოს (შაუნდოს) თქვენი გადაცვალებულები, შენი დედ-მამანი. შავერდის მასპინძლობით ბეწვინიკა შაიწყალოს. აცხონოს ბაინდური. შაიწყალოს, ვინც ჩვენის ხელით მოგონებას მოელოდეს, ჩვენს სახლს ბარაქას აძლევდეს და ჩვენ კი ვერ ვიგონებდეთ, იმის ნებასაც იქნება. შაიწყალოს უპატრონო მკვდარი,—ვისაც მამგონე არა ჰყავს, ჩვენს სუფრას მოჰბიროის. შაიწყალოს ისინიც, ვისაც ჩვენთან ერთად პური უჭამია, ჩვენთან ცნობა-ძმობა ჰქონიათ, ყოფილან და დღეს აღარ არიან.

შაიწყალოს ლაშარიჯვრის პიროფლიანნი. (ლაშქარში დახოცილები).

შაიწყალოს შენი და-ძმები, ბიძაშვილები. თირილაიც შაიწყალოს რო სოფლისად გამოსადეგიიყო.

### მილოცვა.

გავიგე ვაჟი გყოლებია, ღვთის წინაშე გამიხარდა, ღმერთმა გაგიზარდოსი, როგორც გაჩენით გაგალაღათ, ისე გაზდით გაგალაღოსი.

მგონია შველი მოგიკლავ. ხვალ მტრის თავი მოგცას.—ხარი ირემი მოგაკლეინოს რქიანი.

### გაოცება (გაკვირვება)

აბა-ბა-ბა-ბა-ბა, რა ჭირნახულებია, იტყვის კაცი სადაც გაქანდებაო; ავის თვალით არ ინახვის, ქუდი რო გადააგდო ზედ,—გაგოხდება. საყვარლებია, საყვარლები ყურებით ვერ გააძღება კაცი. თვალი არ მოჰშორდება.

ვაი-ვაი-ვაი, რა ყოფილა არ გიკვირსთა თქვენი ჭირიმეთ? მაგას ხო ძილი არა სცოდნია, თუ ჩამდინარს წყალს დაეძინება, მაგასაც მოუვა ძილი. სამი დღე და ღამეს გადააბამს, ჰსომს და ამბობს, ამბობს და ჰსომს, ვინ იცის რას ამბობს: სუ წაუვალ-მაუვალთა. ვაი, ვაი, ვაი, რა ყინჩი (ლამაზი, კარგი) რაიმ იყო, ლამაზად გაზდილი, და მყაზრულ-თვალ-წარბნი. ფერად ილვრებოდა ვინ ძმამკვდარი ტყუოდეს. იმის კბილნი შუქს შააყენებდნენ კაცსა. შვენიერი იყო, მშვენიერი.

აბა-ბა-ბა რა მთიბელი ყოფილა და მე არ ვიცოდი, სამთ ოდენასა სთიბს, არ იცის დაღალვა რა არი, არც გამოუვა ოფლი! მთელი დღე თუნდა მუხთ არ ჩამაიხრის, მაგირად არაფერია.

**ვაჟა-ფშაველა.**

---

*) იარაღი სამუშაო და ავეჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცვალი გაღივებულა, ეჭირვება ერთი რიგიანი, თოვლი, რომ ამ გაღივებულმა თესლმა აღმოაცენოს ჯეჯილი გულ-გამხარებელი და საზრდოს უხვად მომცემი.

თუ ესეთი მშრალობა, უთოვლობა გაგრძელდა, თქვენი მტერი რომ ქიზიყელთ ავი დღე დაადგეთ.

ჯერ ეხლაც ორი-სამი წლის [illegible]დი-ზედ მოუსავლიანობით შეწუხებული ხალხი ერთმანეთს ეყუდება, ძლივს მიდის იოლად, საშინელი სიძვირეა ყველაფრისა.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საშინელი ქარიანობაა წელს. ცაზე ორიოდე ღრუბლის ნაქერი რომ გამოჩნდება და ვიფიქრებთ, ეხლა კი ღმერთმა მოგვხედა, თოვლი მოვაო, მაშინათვე საიდანღაც ქარი აუტყდება და ცას მოარაკრაკებს.

დიდს მადლს იზამს, ვინც ჩვენ ამ სავალალო მდგომარეობიდან დაგვიხსნის და ჩვენს ნაყოფიერ მინდორველს სარწყავ წყალს ალირსებს მდინარე ალაზნიდან არხის გამოყვანით. მაშინ უტყუვრად ჩვენი ადგილები თვალის წარმტაც წალკოტად გადაიქცევა ჩვენი მინდვრები ბაღ-ვენახებით მოიფინება და მხოლოდ მაშინ დაუფასდებათ მარჯვენა მშრომელთ.

X.

## არეულობა სამხრეთ-აფრიკაში

(დეპეშ. პეტ. რბ. სააგენტო)

1—2 იანვარი.

**პრეტორია.** მატარებელთა მიმოსვლისა და ტრანსვაალ-ორანჟის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად გამოცხადდება სამხედრო წესები. ამასთანავე გამოიცემა მკაცრი კანონები დინამიტების მსროლელთა დასასჯელად.

**ბლუმფონტენი** ორანჟის სახელმწიფო სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. რკინის გზის ლიანდაგებს გაძლიერებული რაზმი იცავს.

**დურბანი.** ინჟინერთა სინდიკატმა გაფიცვა გამოაცხადა. ამან გაფიცული მუშები გაამხნევა.

**კაპშტადტი.** რკინის გზისა და ნავსადგურის მუშები გასაფიცად მოუწოდებენ გემების მუშებს. ყველა ქალაქში მუშათა მოძრაობაა. მოქალაქენი პოლიციასა შველიან წესიერების დამყარებლად. მიტინგებზე ჰგმობენ გაფიცულთ.

ტრანსვაალსა და ორანჟში სამხედრო წესები გამოცხადდა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

1—2 იანვარი.

### უცხოეთი.

**პარიზი.** ვენიზელოსი დუმერგსა და კაიოსთან სადარბაზოდ იყო.

**ვენა.** ქვედა და ზედა პალატამ შემოსავალთა გადასახადის კანონ-პროექტის თაობაზე საკომპრომისო წინადადება მიიღო.

**რომი.** სამხედრო სამინისტროს ნება დართეს მოიხმაროს (?) მილიონი ლირის დასაჭერად.

**ვალონა.** ჟანდარმებსა და ესადფაშას რაზმს შორის შეტაკება მოხდა მეამბოხენი დამარცხდნენ. ქალაქს საფრთხე არ ელის.

**მარმაროშ-სიგეტი.** უგროროსთა საქმე. ჩვენებას ართმევენ დანარჩენ ბრალდებულებს. ანდრიშკო თავს დამნაშავედ არ სცნობს. არც პოპოვიჩმა სცნო თავი დამნაშავედ. პროკოპმა თავი მცირე დამნაშავედ სცნო. კაბალიუკისა და გეროვსკების სახელმწიფოსთვის საწინააღმდეგო მოღვაწეობაზე არაფერი გაუგია.

იოანე ხაზი თავს დამნაშავედ აღიარებს: მან მართლმადიდებლობა ამერიკაში მიიღო, შემდეგ ველიკინუჩე კი გამართა სამლოცველო სახლი, სადაც კაბალიუკი მღვდელ-მსახურობდა. მას უნდოდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო, მაგრამ საზღვარზე იგი 3 [illegible]თან ერთად დაპატიმრეს. [illegible] პოპი ამბობს: მართლმადიდებლობის მიღების სურვილი მქონდა მაგრამ არ მიმიღიათ. კაბალიუკი ძალას არ მატანდა მართლმადიდებლობის მიღებისათვის.

ბრალდებულმა მარიამ სუჩკა ჩვენებას იძლევა; [illegible] მართლმადიდებლობა იმისთვის მიიღო, რომ უნიტთა სარწმუნოება ღვთის-მსახურებას ჰკვეცს და ბავშვებს ლოცვებს არ ასწავლისო. [illegible]თვის პოლიტიკური ტენდენცია უცნობია.

**სტამბოლი.** ერზინჯანში მესამე კორპუსის უფროსად დანიშნეს ადრიანოპოლის კორპუსის უფროსი ჰასან-იზეტ-ფაშა.

**სოფია.** სახალხო კრებაში წინადადება შეიტანეს საპარლამენტო გამოძიება მოახდინონ დანევისა და გეშოვის კაბინეთების მოქმედების თაობაზე, განსაკუთრებით ომის გამოცხადების შემდეგ.

**ლვოვი.** ძმანი გეროვსკები სამართალში მისცეს. მათ სახელმწიფოს ღალატი ჰბრალდებათ. შეუდგნენ მესამე ძმის გეროვსკის ძებნას, რომელიც პეტერბურგში იმყოფება.

**სოფია.** სახალხო კრებაზე რადოსლავოვმა ახალი კაბინეთის დეკლარაცია წაიკითხა. რადოსლავოვმა აღნიშნა ის ტრაგიკული მდგომარეობა, რომელშიაც დაარსდა ახალი მთავრობა; მთავრობამ მიიღო ბუქარესტის ხელშეკრულება შენიშვნებით. მთავრობა იმუშავებს ხელშეკრულების გადათვალიერების სასარგებლოდ, ამასთანავე ბულგარეთი უზრუნველყოფილი იქნება ომის საშინელებისგან. რადოსლავოვმა აღნიშნა მთავრობის სამოქმედო გეგმა.

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით, სამთა კავშირის საელჩოებმა მიიღეს დაწვრილებითი ინსტრუქცია ლონდონის ნოტაზე საპასუხოდ. ჰფიქრობენ, რომ ინგლისის ნოტის ძირითადი წინადადებანი შეწყნარებული იქნება.

**რომი.** ავსტრიის გაზეთებში სწერია; ინგლისის მმართველთა წრეში სურვილია დაბადებული. რომ იტალიამ ჯერ თავის ჯარებისაგან გაანთავისუფლოს კუნძულები და შემდეგ აღძრას საკითხი კომპენსაციებზე. ამის თაობაზე „ტრიბუნა" სწერს: ინგლისს ჯერ ისეთი სურვილი არ გამოუთქვამს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს საღ აზრს, ინგლისის ტრადიციულ სამართლიანობას და ინგლის-იტალიის მეგობრობასო. თუნდაც ასეთი სურვილი გამოსთქვას, მას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვება, რადგანაც იტალია არაშემთხვევაში მას არ მიიღებს. ეს საკითხი მხოლოდ იტალიასა და ოსმალეთს ეხებაო.

**სოფია.** ახლად შეძენილ ტერიტორიების მცხოვრებთა აღწერამ გამოარკვია: ბულგარეთის ფრაკიაში მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 494,190-ს; ამათში მამაკაცი 225,000-ია; ბულგარეთის მაკედონიაში 175,070, ამათში მამაკაცი 42,500-ია.

**ქრისტიანია.** 31 დეკემბერს გაიხსნა სტორტინგი.

**სოფია.** სახალხო კრება. ოპოზიციის ჯგუფმა უარი განაცხადა ხარჯთაღრიცხვის 1/12 კანონ-პროექტის მიღებაზე. რადოსლავოვმა კრების დათხოვნის ბრძანება წაიკითხა. დათხოვნის მიზეზად დასახელებულია პალატის შრომის უნარის უქონლობა.

**ბუქარესტი.** მაიორესკუმ მეფეს წარუდგინა თხოვნა კაბინეთის გადადგომაზე. ორ იანვარს მეფე ბრატიანუს დაავალებს ლიბერალურ კაბინეთის შედგენას.

**ვენა.** დროებითი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს საბიუჯეტო კომისიაში ჩეხელმა აგრარიებმა და რადიკალებმა ობსტრუქცია მოახდინეს. სხდომა 31 დეკემბერს საღამოთი დაიწყო. ჩეხელმა სტანეკმა დაიწყო ლაპარაკი საღამოს რვა საათზე და დილის ოთხ საათზე დაათავა. ობსტრუქცია მთელ დღეს არ შეწყვეტილა.

### რუსეთი.

**ეკატერინბურგი.** ჩამოიქცა ლუდის ქარხნის კედელი. ნანგრევებქვეშ დაიღუპა ერთი მუშა. მთელს შენობას დანგრევა მოელის. ზარალი 10.000 მანეთია.

**ოდესა.** დააპატიმრეს ასტრახანის თევზის მრეწველთა ფირმის საქმის რწმუნებული კრუპენსკი; მიზეზი ფულის გაფლანგვაა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი სოფლად ხულიგანობასთან ბრძოლის შესახებ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა პროექტი სამარაში პოლიტეხნიკუმისა და ეკატერინბურგში სამთო ინსტიტუტის დაარსების თაობაზე.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით ფინლანდიის სეიმი მოწვეულია ჰელსინგფორსში 20 იანვრისთვის (2 თებერვალი). ამის გამო ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორს უმაღლესი დავალება გაეგზავნა მეფის სახელით გახსნას სეიმი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარედ 1914 წლისთვის დაინიშნა აკიმოვი, თავმჯდომარის ამხანაგად—გოლუბევი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** გუშინ-წინ ქართულმა დასმა წარმოადგინა ძველცნობილი პიესა ა. ყაზბეგისა „არსენა", ავტორის გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო. წარმოდგენას წინ შ. ქარუმიძემ წაიკითხა მოხსენება ალ. ყაზბეგის ნაწარების ხასიათის შესახებ. თვითონ წარმოდგენა საინტერესო იყო იმით, რომ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი სცენის ვეტერანები—კ. ყიფიანი და ვ. აბაშიძე. მშვენიერი იყო კ. ყიფიანი გარსევანის როლში, საუცხოვო ტიპი დახატა ძველის ბატონისა და მისმა მხატვრულმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ამგვარადვე კარგი იყო ვ. აბაშიძე—სიროჯი. ბევრი აცინა საზოგადოება გარსევანის ცოლმა სიდონიამ—ე. ჩერქეზიშვილისამ. ნინო—დავითაშვილი, პეტრე—გუნია, არსენა—იმხნელი, თედო—იმედაშვილი თავ-თავის ალაგას იყვნენ და მოხდენილის თამაშით ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს. სასურველია, რომ ასეთს წარმოდგენებზე დრამატიულმა საზოგადოებამ წელიწადში ორჯელ-სამჯერ დღესასწაულების დროს ნამდვილი სახალხო ფასები დანიშნოს 5 კაპ. 50 კაპ. ამით თეატრი ხალხს დაიახლოვებს და ეს მისთვის დიდი შესამატია. მართალია, ცალკე სახალხო თეატრი არსებობს, მაგრამ დრამატიული საზოგადოების თეატრს მეტი ძალა ჰყავს, მეტი საშუალება აქვს და შეუძლია ისეთი წარმოდგენები უჩვენოს ხალხს, როგორსაც სახალხო თეატრი ვერ შესძლებს უსახსრობისა გამო.

**სახალხო სახლი.** დღეს, 3 იანვარს ქართული წრის მიერ, ქართული თეატრის დაარსებიდან 64 წლის შესრულების აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება გ. ერისთავის კომ. „უჩინმაჩინის ქუდი", „დავა" (ერთი მოქმ). გ. ერისთავისა და „მათიკო" (ერთი მოქმ.) ა. ცაგარლისა.

**ქ. ბათომი.** 27 დეკემბერს ბათომის სცენაზე პირველად იყო წარმოდგენილი „ტაიფუნი" — (გრიგალი) თარგმანი ელო ანდრონიკაშვილისა.. ეს პიესა ამოერჩია თავის საბენეფისოდ დ. მგალობლიშვილს.

მობენეფისე—მგალობლიშვილი — (იაპონელი საზოგადო მოღვაწე ტოკემარო) კარგი იყო თავისი მიხვრა მოხვრით და იაპონური სიდარბაისლით, ხოლო მესამე მოქმედობაში —სასამართლოს დროს—მოისუსტება. ჩვეულებრივ კარგი იყვნენ ყალამბეგაშვილი (კობაიაში) და კორიშელი (იოშიკავა) არა უჭირდა რა დამცველს (მამულაიშვილი). კარგად განასახიერა რონელმა (ელენე ლაროშ) ევროპიელი გაქნილი ქალის როლი. არა უშავდათ-რა მწერალ რენარ (გელოვანი) და დიუპო პროფესორს (ალუდაიშვილი), ხოლო პირველს ალაგ-ალაგ თავდაუჭერლობა ეტყობოდა.

მობენეფისე მრავალი საჩუქრებით დააჯილდოვეს. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო, მაგრამ გძელი დიალოგების გამო ხალხი მოწყენილობას ეძლეოდა. წარმოდგენა ღამის ორის ნახევარზე გათავდა.

ტრ. ი—ძე.

## შემოწირულება

დიდად პატივცემულო ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესათ თქვენი პ. რედაქციის საშუალებით გადასცეთ ჩვენ მიერ შეგროვილი მცირეოდენი ფული (ქ. ყარსის მცირე რიცხოვან ქართველებთა და სხვათაშორის). ამ ჟამად სოხუმში მყოფ ავად-მყოფი საყვარელი მწერლის ევდოშვილის დასახმარებლად.

ამასთან გთხოვთ გამოაცხადოთ შემომწირველთა სია: სამ სამი მანეთი: ი. ავალიშვილი, ი. ვარაზაშვილი. ოროლი მანეთი: ი. ელენტი, ს. კავალიოვი. თითო მანეთი: ვ. კალენჯირიძე, ს. მჭედლიშვილი, ი. მარუაშვილი, ს. ბეჟანოვი, ს. გაჩეჩილაძე, ნ. კაჭკაჭოვი, ო. ტატოევისა, მ. იზნელისა, ა. ჯინორიძე, ნ. მუჯირი, ლ. ხარიტოვ, ა. ცხოვრება, მ. გოგელია, ვ. გოგელია. ათათი შაური: ა. ჩხეიძე, მ. მინდელი, ა. ელენტი, ა. კობიევის ქალი, ა., ბადალოვი, კ. ყურულოვი, პ. ჟორჟოლიანი, პ. ხმალაძე, მიზანდაროვ, ვ. ნაცვლიძე, მ. თურმანიძე, ნ. ჯამუშოვი, ვ. ჩახავა, მ. მესხი, გ. იკონიდიდი.

სულ შედგა ჯამი ოცდა თერთმეტი მანეთი და ათი შაური (31 მ. 50 კ.)

ნ. გამყრელიძე, ა. კობიაშვილი.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

### ტფილისიდან გადის.

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 3 წ. № 19, **საზაფხულ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს 40 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კიზლიარი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 **საფოსტო** 7 საათსა და 23 წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ქალაქის სავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი. გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანუარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა.
855



სახლი აბასთუმანში

ქვისა, სამ-სართულიანი, გამოსადეგი სასტუმროსათვის, სანატორიუმისათვის და სხვა. **იჯარით გაიცემა 1914 წ. პირველ იანვრიდან.**

ცნობების მიღება შეიძლება: **ტფილისში**, მიხეილის ქუჩა, № 126, **კნ. სუმბათაშვილისაგან**
914

ემმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
„606" და „914"
**11—12 ს. უ ფ ა ს ო ყ უ რ ე ბ ა კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ავახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, აბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის
„ხმა კახეთისა"-ზე
წელიწადი მესამე
**გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:**

| **ფოსტით გაგზავნა.** | | **სიღნაღში.** | |
|---|---|---|---|
| 1 იანვრიდან წლის დამლევამდე | 4 მ. | 1 იანვრიდან წლის დამლევამდე | 3 მ. |
| ნახევარი წლით | 2 „ 25 კ. | ნახევარი წლით | 1 „ 80 კ. |
| ერთი თვით | — 50 „ | ერთი თვით | — 35 „ |

**სოფლებში აგენტთან.** ერთი წლ. 3 მ. 50 კ., ნახევარი წლ. 2 ერთი თვით 35 კ. ცალკე **ნომერი** ყველგან 3 კაპ.
მისამართი: ქ. სიღნაღი К. І. Ткавадзе.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვებში.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
საყოველთაოდ იუწყება, რომ 1914 წ. 8 იანვარს დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
მოტოციკლებისა და ველოსიპედებზე გაწერილ ხარჯის აკრეფ
იჯარით გასაცემად.
პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
10

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო, საზოგადო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ
„ბათუმის დღე"-ზე
**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი ს ფ ა ს ი**

| | **1 წლით.** | **1/2 წლით.** | **თვიურად** |
|---|---|---|---|
| ქალაქის ხელის მომ. | 7 მან. | 4 მან. | 1 მან. |
| სხვა ქალაქებში | 8 მან. | 5 მან. | 1 მ. 20 |
| საზღვარ-გარედ | 14 მან. | 8 მან. | 2 მან. |

მისამართის გამოსაცვლელად ბათომიდან სხვა ქალაქებში 1 მან. ქალაქიდან ქალაქში—50 კაპ.
**რედაქციისა და კანტორის მისამართი:** ბათომი, მარინის პროსპ. №
1610 რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ვლ. სახნოვსკი.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
„განათლება"
**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.**
(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება" ჩვეულებრივად გამოვა ყოველი თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვითეულ ნომერში ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი (4 მ.)** მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად,** საზღვარ-გარედ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიციანიძესთან, ბათომში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში", ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრები, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.
**მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

„გრძელდება ხელის მოწერა ჟურნალ
„სასოფლო გაზეთზე"
24 ნოემბერს უკვე შესრულდა ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი
**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის.**
წლიური ფასი ჟურნალისა 4 მან. ნახევარი წლის 2 მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერად: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთი პირველ მაისისთვის.
მთელი წლის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრად ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით- Кутаисъ С.-Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе. 1641

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
მმ.
ძმები
ძეგველოვები.
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სვიდაკ
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით შიტკა და ხმელი სი
კო აგრეთვე ყოველ დროს იყიდ
მაღაზიაში მარტის დოში, იან
შიპა, ზურგიელები და სხვა ყოვე
ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.